კვირა, 19 მარტი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშეკერეკ

№ 12

(1917)

შინაარსი. წერილი მეგობართან—ქაქიჩ. ხალხური—ვ. **რუხაძე**. სლაბოდნი ვარ—**გოგი**. შარადა—**კოლო**. დამარცხდა რომი—**მორიელი**. რევოლიუციის დღიური. როგორ მოხდა. ფოსტა და სხვ.

კარიკატურები მოდის მიმდევარი მოხელე. კუბოში ჩაასვენეს. დამარცხდა რომი. ორატორები მიტინგისაკენ.

მოდის მიმდევარი მოხელე



— მატრონა! აბა მოიტა ეს ტანთსაცმელი. ახლა ხომ იცი მოდაში სოციალ-დემოკრატები არიან. ამ პარიკსაც გავიკეთებ, რომ საეკვო ალარაფერი იყოს.

— აბა შემომხედე, მატრონა, რით არა ვარ სოციალ-დემოკრატი? ვინ დამიწუნებს! მაგრამ იცი, ჩემო კარგო, ეგ მუნდირი სადმე კარგ ალაგას შეინახე. ვინ იცის, იქნებ საჭირო დარჩეს.

წერილი მეგობართან

გულის სატრფოვ, სულის ვარდო, საყვარელო ძმაო ბეკო!
ვეღარ გავძელ არ მომეძღვნა შენთვის წიგნი საესდეკო.
გაზაფხულის სხივმა დაჭკრა, შეკრთა მიწა შენახური,
ტყეს კოკრები გაეშალა, ყვავილებმა სცქვიტეს ეური!
ვაზი სტირის წმინდა ცრემლით, მინდორ-ველი იცვამს მწვანეს
მკვდარს სიცოცხლე დაუბრუნეს, არე ედემს დაამგვანეს.
თოვლი დნება! ცივი წყარო მოჭქუხს მთიდან მსიარული,
ეინვის სუნდი ვეღარ ჭბორკავს, გაადვილდა სიარული.
მზე ცხრათვალა ბრწყინავს ცაზე მოალერსე სხივთა ფრქვევით,
და სიყვარულს სთესავს ირგვლივ, სთესავს მაღლა, სთესავს ქვევით.
ხარობს მიწა, ცის ლაჟვარდთან ნათელ სხივით შენაერთი,
სჩანს დაემხო მტარვალობა და სიმართლის აღსდგა ღმერთი.
ძმაო ბეკო! ვინ შემუსრა მტარვალობის იგი ბურჯი,
შენს გარეშე ვინ ერია შენებრ მტკიცე მათში გურჯი?
ვინ დასცარა გველვეშაპი, ან ვინ დასცა გულს მახვილი,
ვინ გამოდგა ესდენ გმირი, სასახელო სალხის შვილი?
ვინ მოსტეხა იმ დათვს ეშვი, ბუნაგიდან ვინ იფრინა,
და იქ, სადაც სხვებს ახრჩობდა ვინ უბოძა მტარვალს ბინა?
ვინ ჭქნა საქმე საარაკო იაგივად მოსათხრობი,
ოჭ, ნეტავი როდის გნახავ, ამბავს ტკბილად მომიყობი.
ვინ დალახვრა ის ჯანდარი მსოფლიოს რომ აწვა ლოდი,
მე მის ეგზომ გაბახებას ჩემს დღეში არ მოველოდი.
ჯაჭვისა და ბორკილების გარს რო გვერტყა აბლაბუდა,
ვინც გასწვეიტა, გეტყვი ბეკო, რომ ვაქაციც ისე უნდა!

ვუყურებ და ვეღარა ვცნობ მე ჩვენს თფილისს მრავალტანჯულს,
თავი მაღლა აუღია, მისცემია დღესასწაულს.
მოხუცი და ახალგაზრდა, მახინჯი თუ ჰირ ლამაზი,
აღმა-დაღმა დანავარდობს სახე ღიმილ მონაკმაზი
სამხედრო და ერისკაცი წითელ დროშას აფრიალებს,
წითელ ლენტის მაუურჯები ყელს უმშვენებს ტურფა ქალებს

ისმის ,,ურა'' ,,და ზდრავსტვუეტ'' ახლად შობილ მოაგრობისა
(მეც გილოცავ, ღმერთმა კარგათ გარგად გაგიხარდოს ძმაო ისა)
,,ჰატარაა ეგეთია, გაიზრდება რა იქნება''
,,დროებითად მოვლენილი, რესპუბლიკათ შაიქნება.
პოლიცია აღარსად სჩანს, გაიწმინდა ქუჩის პირი.
გეხსომება რაოდენი განგვიცდია მათგან ჭირი.
ჩამოართვეს იარაღი ქრთამით კისერ განასუქებს,
და პირწმინდათ უნაღდებენ მათ წარსულის თამასუქებს.

ბეკო ჩემო! სად ნახულა ეგ ამბავი ამდაგვარი?
მე მაკვირებს, შენმა გაზრდამ, თუ სენწიფემ რათ სთქვა ვარი
და არ მისცა სალსს ის, რასაც მოითხოვდა დაკინებით...
რათ არ მისცა იმ ბედშავმა თანხობით და თავის ნებით?
მაგრამ არა... რაებს ვჩმახავ, ბედი თვისი ვინ დასძლიოს?
სად ნახულა მეფემ სალსსა უფლება თვით შეაძლიოს?

ბეკო ჩემო! იცი, ძმაო, რა ეოფილა სალხის გული?
მიკვირს მასში ეგ ზღვა ბოღმა როგორ იყო დაგუბული!
გადმოხეთქა და გუგუნი გაადგს ირგვლივ ტალღებს მისას
ვერ აგიწერ მე სელ-სუსტი განცდას დღიურ სიამისას

მილიონი სალსი უსვრის და ფუსფუსებს ქუჩით ქუჩად
მათი არის ბრძანებლობა, ვინ აიგდებს აწ აბუჩად!
ცხრაას ხუთში ნაგემები სალხმა უკან დაიბრუნა,
ნაძალადევ-დიდუბეში კვლავ დაიდგა ძმავ, ტრიბუნა.
მიტინგები მიტინგს მოსდევს ქალაქში, თუ დაბა-სოფლად
ჯარისკაცი მხარს უმშვენებს, აღარ დარჩა მუშა ობლად.
გვესმის სიტყვა ცეცხლთა მგზნები, დაჩაგრულ და ტანჯულ-გვემულთ
გვაღელვებენ და შემდგომად გვამშვიდებენ აღელვებულთ.

სასახლეში, ჩემო ბეკო, დაჭრილ სალდათს მისცეს ბინა
ჩაეიარე და შეეხედე, შეეხედე და გამეცინა.
ჯაშუშებს რო ემახოდენ, ვინც აწუობდა შპიონაჟებს,
სადღაც გაჭქრენ და ამკარათ ვეღარ ვხედავთ ამგვარ ვაჟებს.
ზოგ-ზოგ მათგანს, უფრო ურცხვებს, ემცნო გემო გასაჭირის
და მიეცა საცხოვრებლათ ,,აბანო'' რო ქვია ,,ვირის''.
დადისარ და გრძნობ, რომ უკან აღარა გდევს შავ აჩრდილათ
(ურცხვიც იყოს, ამგვარ საქმეს ვერ გაბედავს, ძმავ, ადვილათ)

ალარა სჩანს არც ჟანდარმი, წითელ ბაწარ დანაკიდი,
ან კი როგორ გამოჩნდება იგი ცოდვა განადიდი,
ვინ არის, რომ იმას მათგან არ ეკისროს ცოდვა ძველი
ვინ არის რომ ჟანდართაგან არ ეგომოს სატანჯველი?
დეპუტატთა საბჭოები, მუშათა და სალდათების
მესაფლავე ბრძანდებიან ძველ წესთა და ადათების.
მათ გონიერულ მოქმედების თავმდებია ჩვენი „ბიჭი“
ღმერთმა მისცეს დღეგრძელობა, არ აკლია საქმის ნიჭი!

ძმაო, ბეკო, მუის გაცოცხლდა ეგ ჭაღარა ჩვენი სიფლა,
პირველ მარტის განთიადზე მამალმა რომ დაიყივლა.
სხვა ვინ გითხრა, ეველა შენი სიყვარელის გიძღვნის სალამს.
გაუმარჯოს შენსა საქმეს და აგრეთვე მაგ შენს კალამს,
თუ ისელთებს მცირე მანძილს და გადადგამს დიად ნაბიჯს
და ძველებურ მოიგონებს მოყვარულსა მისსა ქაქაჩს.

მარადის შენი ძაქაჩ.

ხალხური სიმღერა

—

ადრე რომ მდევი გვეგონა,
თურმე ერთ ფეხზე მდგარაო:
ერთი შემოკვრით წაიქცა,
გულს მიწა დაეყარაო...
დიდება იმას, ვინც მტარვალს
სამარე გაუთხარაო.
მოულოდნელი ამბებით
დაგვატკბო, გაგვახარაო;
ცრემლი შეგვაშრო თვალებზე,
გვაცინა, გვახარხარაო?

ვ. რუხაძე.

ლაგოდნი ვარ

ვა, ვა, ვა, ვა, ეს რა ამბავია, ხალხნო, ქრისტიანო!! სიზმარია თუ ცხადი! მძინავს თუ მღვიძავს, გიჟი ვარ თუ ჭკვიანი! კვდარი ვარ თუ ცოცხალი! სააქაოს ვარ თუ საიქიოს!! ხალხნო! გამაგებინეთ, თორემ ჭკვიდან შავიშლები უფლის მადლმა. ვა, ნეუჟელი ასე სრაზუმ თავდაყირა დააყუდეს ეს ჩვენი პრავიტელსტვა!! ღმერთო შეგცოდე და ამობენ იმპერატორიც გადმოუბძანებიათ ტახტიდანაო. ვა, ვა, ვა! ვოტ ბიჭობა, ვოტ ვაჟკაცობა, ვოტ ბძოლა ია პანიმაიუ. უჰ, თქვენი სულის ჭირიმე გოსუდარსტვი დუმის ჩლენებო! თქვენ გენაცვალეთ იმ თირკმელებში, რომ ნამდვილი ვაჟკაცები ჰყოფილხართ. არა, მე ტუტუცს ჩემი თავი დიდი მოკრივე რომ მეგონა და თავი კიტრივით მომქონდა! თურმე მე ვინ ვირის ეშმაკი ვარ, მე რა ვაჟკაცი ვარ?! აი ვაჟკაცებიც დუმის ჩლენები ყოფილან და მუშტის ხმარებაც იმათ სცოდნიათ, რომ ასე მამენტალნად, ასე სრაზუმ გადმააპინტრიშეს მთელი პრავიტელსტვა, მინისტრები და ხემწიფე! ეე, ხალხო, ხემწიფე, გესმით?!.

ამობენ: „ეს ოინები სულ იმ ჩვენი დებუტატ ჩხეიძის ბრალიაო“. რომ შახედო კაცმა, თითქოს რწყილს ვერ ვააღვიძებსო და თურმე შიგნით რა ყოფილა, რა ვაჟკაცი, რა გულადი! არა, ამ გარადოვებს როგორ გაუქრო სინსილა! წამლათ რომ გინდოდეს მთელ ქალაქში ერთს ვერ იპოვი, არა, ის ჩვენი ზოგიერთა ენაგძელა სომხები რომ მეებნეპოდენ: „შენი გოლოსი ჩხეიძეს არ მისცე ქართველიაო“. კაცო, რაზე ქითაბი გამიწყრებოდა და არ

მივცემდი! შუტკა შტოლი! განა იმისი წყენა შაიძლებოდა! თუ კი მთელი გოსუდარსტვას პოლიცია ყირამალა გადმაატრიალა, მე რას მიზამდა! ვინ იცის ერთი შამოკვრით ხარფუხში გადავეგდე. აი გული, აი მარჯვენა იმან დაიტრაბახოს?! ახ სადა მყვანდა ერთხელ ორთაჭალაში გარადოვებმა რომ არღნის კორბა წამართვეს. ის უნდა ყოფილიყო იმ დროს ჩვენი ამფსონი, რომ ჯვარის მამის ლავაშივით გაეპტყელებინა ის კურნოსა გარადოვი. მალადეც, მალადეც ჩესნი სლოვა! ნამდვილი ყარაჩოღელი ბიჭი ყოფილა. რას ამოფ, კაცო, ამ გარადოვების ოხტში რომ მოველი, თუნდა მილიონი მეპოვნოს ისე ჩავაგდებ. ოჰ, მუშებო თქვენ გენაცვალეთ სულში. ჩვენ ჯარს ვენაცვალე იმ მარჯვენაში, რომ ნამდვილი ვაჟკაცები ყოფილან. ვა, ვა, ვა, ვა, ხალხნო, ჰხედავთ რა ამბავია! უყურეთ ეს მეტეხის ციხე როგორ თელეთის კარებივით გაიღო?!! გინდა შადი, გინდა გამოდი. ვა, რა ბიჭები გამოვიდნენ გარეთ! აფსუსი არ იყო, რომ ისინი ციხეში ყოფილიყვნენ და ჩვენს თეძო მოგრეხილ დვორნიკს გარეთ სლაბოდნათ ევლო!!

ვა, ხალხნო, ქრისტიანო! ადარ არის; არც გარადოი, არც აკალოშნიკი, არც პრისტავი, არც მოლიცმეისტერი, არც ღრუბენატორი და არც გოსუდარი!! ეხლა მე სლაბოდნი ღრაჟდანინი ვარ, ხალხნო, სლაბოდნი! გაიგეთ ეე, სლაბოდნი!! აბა მოვიდეს ეხლა ის ჩვენი კასოი გარადოი და უბატონოთ ხმა გამცეს. ისე გავასიო, როგორც ქკვიან პოღოსაანთ ბადუას რუბბი. არა, დედინაცვალივით წამდა უწუმ რომ მითხლაპუნებდა თავში! იმისი თავში ცემით ტვინი ჰარისასავითა მქონდა არეულდარეული. ახ, სად არის ერთი მაჩვენეთ რომ სატიკპორე თხასავით ამოვიღო. ერთი იმისი ფერდების მასაჯი გამაკეთებინეთ და მერე თუ გინდა მამაჩემ ასატურასთან გამგზანეთ საიქიოს.

—

ვა, რა ზორბათ დავამარცხეთ
მინისტრები შტურმაშია,
უკაცრავათ მათთან, მაგრამ
ჩავაბძანეთ ტურმაშია!

—

ჩვენ დაგვალპეს ციხეებში
მთელი ქვეყნის შვილებია,
ერთი მათაც ჰნახონ, სცადონ
ბაღლინჯო და რწყილებია

—

ახი არის მაგათზედა
სულ არ უნდა მათ დაზოგა,
ბლოხოვ ლუჩე მოგუტ კარმიტ
ჟირი უნიხ ოჩინ მნოგა.

—

ვა, ვა, ვა, ვა, გორემიკჯან,
ინჩხაბარა, სადა ჰზიხარ?
გუშინ მინისტრი იყავი
სკაჟი დუშკა, დღეს რაღა ხარ?!

—

მხარს გიმშვენებს ტავარიშჩი:
შტიურმერ-პროტოპოპოი,
სიდი, ანგელ, სკორო ნაროდ
ბუდიტ სუდიტ დელა ტვოი

—

ნუ მაიწყენთ, იქეიფეთ,
ხომ ერთათ ხართ ამფსონები
ჩვეულებრივ ხომ არ გინდათ,
რაზნი, რაზნი ჟარკოები?!

—

სკამი თუ გსურთ ბლაღაროდნათ
წინ და უკან საქანაო,
ან ბუზების გასარეკათ
იქნებ გინდათ თქვენ მარაო?!

—

ჩეე, ახპერ გაგიფრინდათ
ძველებური წეს-ადათი,
გეყოთ რაც რომ ოქროებზე
ჰყიდეთ თქვენ ბედნი სალდათი.

—

დღეს ქვეყანა ხალხისაა,
ვერვინ მოვა ჩვენ ოხტშია,
ბძანდებოდეთ თქვენც იგემეთ,
ყოფნა მაგ ბნელ ციხეშია.

—

ჩვენ დღეს ყველა სლაბოდნი ვართ,
გრაჟდანები ქალაქისა,

თავდაყირა დავაყუდეთ
ბძანებული რუსეთისა.

—

თქვენი ბურჯი პოლიცია
დაიმალა ველარ გვზვერავს,
საშკა გრიშკას ძველებურად
წითელ პერანგს ვერ უკერავს.

—

გაუმარჯოს მუშა ხალხსა,
გაუმარჯოს სალდათებსა,
მეც მათთან ვარ ჭირში, ლხინში,
ვფიცავ სიყმეს, ჩემსა მზესა.

გოგია.



გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

შარადა

ვითომ დაჰკარგა შარადამ
თავისი დანიშნულება?
არა. ის ახალ მთავრობას
უმეტეს ეერთგულება.

განა რა არის შარადა,
თუ არ საწრთობი ჭკუისა?
ძიება არის საჭირო
სიტყვა ეგ შეჰფერს, თუ ისა

და ვინც ძიების უნარზე
მკითხველი გვივის სუსტათა,
ის არ ივარგებს შარადის
გამომცნობათ და ესტათა.

—

აი თუნდ სიტყვა პატარა...
სამ ანბნით ანაშენია,
მდევ — ბუმბერაზი არსება
წვერით ცას გამობჯენია.

საზღაპრო გველეშაპივით
გადასწოლია არესა,
ეალერსება დღისით მზეს,
ღამით კაშკაშა მთვარესა.

თავს ხშირად ნისლი ეხვევა
ფიქრს უღვიძებენ მწარესა,
ხან ყინვის ადგას გვირგვინი
მწვერვალო მოელვარესა.

დასწერეთ იგი სახელი
შეკვეცა არა სჭირია
და ჩვენთა მოღვაწეთაკენ
შემოიბრუნეთ პირია.

—

„ფილოსოფოსთა“ ქართველთა
ის იმერული გვარია,
ვინც მოუვლინა სამშობლოს
სიტყვათა ნიაღვარია.

ჰქუხდა და სჭექდა დარბაზში
ქართველთა დემოსფენია,
(დღეს პაგონ განახუნები
და ძალიხდილი გენია!)

აი ეს გვარი ვის თქვენგანს
მრავალ გზის არა სმენია?
დღეს შარადისთვის დაგვჭირდა
აღსრულდეს განაჩენია.

მოვკვეთოთ ოთხი ანბანი
წინა მხრით მინაშენია,
უკანა ოთხი, შორს ჩვენგან,
ბუსა და ჭილყვავს შთენია.

—

კვლავ გვინდა სიტყვა პატარა
ორ ნიშანს იცავს მხოლოსა
ძლიერ ხშირად ზის, საბრალო,
გვართა ქართულთა ბოლოსა.

—

აი, დაგროვდა მასალა
მო, ავაშენოთ ხელადა
პირველი სიტყვა დაუდოთ
მას მტკიცე საფუძველადა.

მეორის დასაშენებლათ
ჩვენ დაგვჭირდება კირია

ორამოტრები მეტინგისაკენ



რომი დამარცხდა!

რომალები პირველობდენ
ძველ ხალხთა შორის
და არც ელოდენ წარმოშობას
რომაელთ სწორის.
ყოველსა დარგში წინ წაუსწრეს
დანარჩენ ერებს,
დღესაც შესტრფიან მათ ნახატებს,
იმათ ნაწერებს.

დამნაშავისა დასჯა რომში
ჯვარზე იცოდენ...
(ნაზარეველი იესოც კი
არ შეიცოდენ.)
ხელსა და ფეხებს მიუჭედდენ
ჯვარედინ ძელსა
(სწორეთ, იმ გვარად, როგორც უქნეს
ნაზარეველსა.)

—

მაგრამ დიდება წარმავალი
არის ყოველთა!



ის დრო არ შერჩა წარჩინებულ
ძველ რომაელთა.
მოხელემ ძველი რუსეთისამ
დაჩრდილა რომი...
(ჯერ ტეხნიკაში არ ნახულა
მსგავსი ნახტომი)..
მას ამ საქმეზე ერთობ მძიმეთ
არც უფიქრია,
მას მხოლოდ ჯვარის ზედა თავი
გადაუკრია.
იქით აქედან ჩამოუბამს
მაყურჯი თოკი,
(აშკარა არის ხის მასალა
იყო საზოგი)
და ერთის ნაცვლად დაუსჯია
ორი მაშვრალი...
(ვინც მოიხადა სამშობლოს წილ
თავისი ვალი.)

—

აი სურათიც! შეადარეთ
მათი ნაშრომი
და სთქვით ამ ორში ვინ დამარცხდა:
ჩვენა, თუ რომი.

მორიელი.

მეექვსე ქორონიკონმა
გვაშორეს გასაჭირია.

მესამე სიტყვა მეორეს
უკიროთ დაეშენება
და თქვენს წინაშე დაიდგმის
შარადის მთელი მშვენება.

—

გვამია. ორი კვირის წინ
განშორდა წუთისოფელსა,
ხორცი აქ ლპება, სული კი
მისცა ქვესკნელის მფლობელსა.

მოსწამლა მთელი ქვეყანა
შურით, მტრობით და გესლითა,
დაუზოგველი სიმკაცრით,
ღალატით განათესლითა.

მოსწამლა აზრი და სიტყვა,
ლახვარი ჩასცა რწმენასა
მძიმე ბორკილი დაადო
მოქალაქეთა ენასა.

მოჰკლა სწმინდე, სინაზე
უშვერის, ჭლანქის ძალითა
სიყვარულს თავი მოჰკვეთა
ჯალათის ცივი ხმალითა.

გაანადგურა სოფელი,
გაჰყიდა ცოლი, შვილია,
ძოძმისა სისხლი დაჰღვარა,
მითი წვერ შეღებილია.

და აჰა, გვამი ცოდვილი
გახრწნილი სიცოცხლეშია,
წინაშე თქვენსა მდებარებს...
უჰ, რა ბინძური ლეშია?!!

ნეტავი იმას, ვისაც აქ
მისი დარჩება სახელი...
დღეს თუმცა არ სჩანს მემკვიდრე
მაგრამ ბევრის ვართ მნახველი.

სოროში შეხიზნულები
იცვლიან ხოჭოს, ქურქებსა,
თუმც ვეღარ გასჭრის ეგ ხერხი,
საქმეს იქმიან ურგებასა.

—

ვინაც ვერ ახსნა შარადა
აქ მწყობრად მონახსენები,
ის ეშმაკთ სამფლობელოში
არ არის დასაყენები.

კოლო.



რევოლიუციის დღიური

6 მარტი.

— დროებითმა მთავრობამ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონოვალოვის წინადადებით დაადგინა სახელმწიფო ქარხნების ყველა მუშებს ჯამაგირი მიეცეს იმ გაცდენილ დღეებისა როდესაც მღელვარება იყო. კონოვალოვი ამგვარსავე წინადადებას მისცემს კერძო ქარხნების პატრონებსაც.

— უწმინდესმა სინოდმა დაადგინა ამიერიდან მეფისა და მისი გვარეულობის მაგიერ ეკლესიებში მოიხსენიონ „ღვთისგანფარული რუსეთის სახელმწიფო და კეთილმორწმუნე დროებითი მთავრობა.“

— დროებითმა მთავრობამ სახ. დუმის თავმჯდომარე როძიანკო წითელი ჯვრის საპატიო კომისარად დაინიშნა.

— მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ შესაძლოთ სცნო მუშაობის განახლება პეტროგრადში, ვინაიდან მდგომარეობა სერიოზულია.

— დროებითმა მთავრობამ გააუქმა ბეჭედითი საქმის მართველობა.

— თავ. ლვოვმა განკარგულება მოახდინა, რათა თანამდებობიდან გადააყენონ ყველა გუბერნა-

ტორები და ვიცეგუბერნატორები. გუბერნიების მართველობა დაევალათ საერობო სამართველოების თავმჯდომარეებს და აღმასრულებელ კომიტეტებს.

— კიევში გააუქმეს ქალაქის დაცვისა და ჟანდარმთა სასამართლოები. მათი საქმეები და არქივები გადაეცათ ვექილთა საბჭოს.

— მაქსიმ გორკიმ დეპეშით წინადადება მისცა საფრანგეთში მყოფ რუს ემიგრანტებს, რომ სამშობლოში დაბრუნდენ. განზრახულია განსაკუთრებული გემი მოითხოვონ მათ წამოსაყვანათ.

---

7. მარტი.

— დროებითმა მთავრობამ მოიწონა წინადადება ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონოვალოვისა-ცალკე შრომის სამინისტროს დაარსებამდე მოეწყოს ვაჭრობის სამინისტროსთან შრომის განყოფილება.

— კიევიდან იტყობინებიან, რომ ქალაქი აივსო ხორბლით, ხორცით და სხვა სანოვაგით. დროებით მთავრობის განკარგულების შემდეგ ქალაქში 35,000 ფუთით მეტი ხორბალი შემოდის ყოველ დღე...

— შავი ზღვის მთელმა ფლოტმა ახალი მთავრობა აღიარა.

— კიევის კომერციული ინსტიტუტისა და პოლიტეხნიკუმის სტუდენტებმა რკინის გზის ვაგონებიდან სამეფო გვირგვინები მოხსნეს და ქარხნებში გაგზავნეს, რომელებიდანაც ყუმბარები უნდა დამზადდეს.

— გლეხთა 22 დეპუტატმა მინისტრთა თავმჯდომარეს ლვოვს სთხოვა, დაუყენებლივ გაუქმებული იქნეს საერობო უფროსთა ინსტიტუტი და ამით მრავალ ტანჯული გლეხები გაანთავისუფლონ ამ არამკითხე მზრუნველებისაგან.

— დროებითმა მთავრობამ უფლება მისცა სახელმწიფო ბანკს ორი მილიარდის კრედიტის ბილეთები გამოუშვან *)

— დროებითმა მთავრობამ აღადგინა ფინლიანდიის დიდი სამთავროს კონსტიტიუცია, რომელიც გაუქმებული იყო ძველი მთავრობის მიერ.

— პეტროგრადში გაიმართა კრებანაციონალური უფლების აღიარების შესახებ.

— შვეიცის სოციალისტურმა პარტიამ დეპ. კ. ჩხეიძეს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას, სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალს და განახლებულ რუსეთს, რომელიც ომის გათავების შემდეგ საერთაშორისო კაცობრიობის მშვიდობიანობის საუკეთესო დარაჯი იქნება“.

---

8 მარტი.

დროებითმა მთავრობამ შემოიღო ფიცის ახალი ფორმა.

— პეტროგრადის ბირჟაზე რევოლიუციის სასარგებლოთ 500.000 მანეთი შეაგროვეს.

— შეერთებული შტატების მთავრობამ სცნო რუსეთის დროებითი მთავრობა და საქმე დაიჭირა მასთან.

— დროებითი მთავრობის კომესარს სახ. დუმის წევრს ვინოგრადოვს დაევალა მიიღოს მართველობა შინაგან წყლებისა და შარა გზებისა.

— თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომისარებათ აირჩიეს: ნოე ჟორდანია, ალ. ხატისოვი და დ. პოპოვი.

— პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს წინადადებით დროებითმა მთავრობამ დაადგინა დაეპატიმროს ყოფილი მეფე ნიკოლოზ მეორე და მისი მეუღლე ალექსანდრა თე-

---

*) არავინ იფიქროს თითქო ქაღალდის ფულები დატუსადებული იყოს, არა. აქ ლაპარაკია ახალი ქაღალდის ფულის მოგზარაზე.

დორეს ასული. მათი დაპატიმრება მიენდო გენერალ კორნილოვს და დეპ. ბუბლიკოვს.

— დროებითი მთავრობის განკარგულებით თანამდებობიდან გადააყენეს რუსეთის ჯარების მთავარ სარდალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე.

— მოსკოვის აფიცერთა კრებამ დაადგინა რუსეთში შემოღებულ იქმნას რესპუბლიკანური მართვა გამგეობა.

ციხეების მართველობის ახალმა უფროსმა განკარგულობა მოახდინა, რომ ამიერიდან დაპატიმრებულთა წინაამდეგ ფიზიკური დასჯის ზომებს აღარ მიმართონ და ეპვით დაპატიმრებულთ ბორკილები აღარ დაადონ.

10 მარტი.

— თფილისის მასწავლებელთა კრებამ დაადგინა დაუყონებლივ გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან საოლქო სამოსწავლო ადმინისტრაციის მთელი შემადგენლობა.

— თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და მუშათა დეპ. საბჭოს წინადადებით დაადგინა მოეწყოს რევოლიუციონური ჯარის დღე.

დროებითმა მთავრობამ თავის თავზე მიიღო სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებანი: პრაცენტების გადახდა, სესხის დაბრუნება, მოსამსახურეთა შენახვა და პენსიების გაცემა

— იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ ინსტრუქცია გამოსცა იმ საგანგებო კომისიისათვის, რომელიც გამოიძიებს ყოფილი მინისტრების მოქმედებას.

— პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო ქაღალდებში აღმოაჩინეს სახ. დუმის წევრის ტარკოვის ხელ მოწერილი ქაღალდი, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ტარკოვს პოლიციის დეპარტამენტისგან 132.000 მანეთი მიუღია მემარჯვენეთა პრესის შესანახათ და გასაძლიერებლათ.

11 მარტი.

— დროებითმა მთავრობამ რუსეთის ჯარების მთავარ სარდლობა გენერალ ალექსეევს მიანდო.

— პეტროგრადში დააპატიმრეს გენერალი რიმანი, სემენოვის პოლკის ყოფილი აფიცერი, რომელიც 1906 წ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონერთა დახვრეტაში.

— სახელმწიფო დუმის კომისარმა ბუბლიკოვმა კერძო რკინის გზების მართველობებს შეატყობინა, რომ მათ მოსამსახურეებს, ხელოსნებსა და მუშებს ჯამაგირები მოუმატონ..

— პეტროგრადის თეატრებში წარმოდგენების გამართვა კვლავ დაიწყო. დიდებულად ჩატარდა სპეკტაკლი მარინის თეატრში, სადაც ორკესტრმა რევოლიუციონური სიმღერები და მარსელიოზა შეასრულა. ანტრაკტების დროს ილაპარაკეს ჩხეიძემ, სკობლევმა და პუბლიკოვმა. ხალხი მათ აღტაცებით მიეგება.

13 მარტი.

— კიევში აფიცრების, ჯარის კაცებისა და იუნკრების კრებაზე დაადგინეს: ჯარისკაცებმა სოფლებში მისწერონ თავიანთ მშობლებს, რომ მათ მხარი დაუჭირონ ახალ მთავრობას.

— პეტროგრადში დააპატიმრეს ბექვდითი საქმის უფროსი ვისარიონოვი და მიფის სახლის მცველი უფროსი ჟედენეევი.

დროებითმა მთავრობამ თანამდებობიდან გადააყენა სენატორი მილიუტინი და მის ალაგას კავკასიის საქმეთა კომისარათ პეტროგრადში დაინიშნა დროებითი მთავრობის საქმეთა მწარმოებელი ნაბოკოვი.

როგორ მოხდა ეს

რა იყო პირველი საბაბი რევოლიუციის დაწყებისა? ყველა ერთხმათ აღიარებს: 25 თებერვალი, როდესაც ჯარისკაცების ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელები, ჯანდრები და ბოქაულები „გოსტინი დვორის“ მახლობლათ მშვიდობიან ხალხს დაერიენ და უმოწყალოთ დაუწყეს ჟლეტა. პოლიციელები ჩასაფრული იყვენ აგრეთვე ევროპის სასტუმროსა და ქალაქის თვითმართველობის შენობაში.

საშინელი, აღმაშფოთებელი სურათი იყო. დაიღუპენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები. ვერას ოდეს ვერ დავივიწყებ პატარა გემნაზიელს, რომელიც წიგნებით სასწავლებლიდან დაბრუნებული ნევის პროსპექტზე სისხლის ტბაში გორავდა. მის გვერდით ქვაფენილზე გაშოლტილი იდო მოხუცი, რომლის ყელიდან შადრევანივით ასხმდა წითელი სისხლი.

ეს უცილობელი პროვოკაცია იყო მთავრობის მხრით.

26 თებერვალს გადაცმულმა პოლიციელებმა კიდევ შეიწირეს რამდენიმე უმანკო მსხვერპლი. აქ-კი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო.

რისთვის? ვინ რა დააშავა? ხალხს პურის მოთხოვა არ შეუძლია? რა დააშავეს იმ სამხედრო პირებმა, რომლებიც ქუჩებზე დასეირნობდენ და ულმობელი ტყვიის მსხვერპლი გახდენ? — ქარავანის ქუჩაზე შევხდი ლოყაში მძიმეთ დაჭრილ აფიცერს. ვიღაც ქალიშვილი მას ცხვირსახოცით ჭრილობას უხვევდა. აფიცერს ჯანდრებმა ესროლეს საფრებიდან.

ბნელი ქუჩები, ჩახორგილი მაღაზიები მღელვარება, გოდება და კვნესა თავზარსა სცემდა ყველას.

რედაქციებში ცნობა მოვიდა, რომ დუმა დაითხოვეს, მაგრამ დეპუტატებმა დაადგინეს არ დაიშალონო.

დუმის მოქმედება ყველამ მოიწონა. ყველას აინტერესებდა საკითხი: რა მოხდება ხვალ?

პური კიდევ უფრო შემცირდა ქალაქში. მეპურეებს წინ კუდები კიდევ უფრო დაგძელდენ. ზოგი ფურნე სრულიად დაიხურა. ქალაქი მხოლოდ ხმებით ცხოვრობს. ტრამვაის მოძრაობა შესწყდა, მეეტლები გაქრენ. გადაცმული პოლიციელები და ჯანდრები შენობების სახურავებში ჩაისაფრენ და „დავალების“ შესრულებას განაგრძობენ გულმოდგინეთ.

27 პეტროგრადი თოფების გრიალმა გამოაღვიძა. ამბობდენ სროლა ვიბორგის მხარეზეაო. ხმები გავრცელდა სახ. დუმამ ფრიად მნიშნელოვანი დადგენილებანი მიღოო.

ნევის აროსპექტზე ყაზახები დაჯირითებდენ. ქუჩები: ლიტეინის, ვლადიმირის, მორსკაია და სადოვაია ისევ ხალხით გაიჭედა.

ქუჩების თავებში ჯარის კაცები იდგენ და მხოლოდ „კეთილ საიმედოებს“ უშვებდენ.

სანამ დიდ ქუჩაზე გასვლას დააპირებდა ვინმე, ჯერ ჯარის კაცს კითხავდა: „შეიძლება? სროლა ხომ აღარ არის?“ და მხოლოდ მაშინ მიდიოდა, წინ, თუ მაიგებდა, რომ „შეიძლება“.

ნაშუადღევის 2 საათი იქნებოდა, როდესაც ვლადიმერის მოედანზე ნაცნობ ჟურნალისტს მოვეწია. ის აღელვებული იქნევდა ხელებს და იძახდა

— რევოლიუცია დაიწყო! სატუსაღოები გაანადგურეს! „კრესტის“ სატუსაღოდან ყველა ტუსაღები გამოუშვეს. ეს ეს არის მუშებმა და ჯარის კაცებმა ტყვიის მფრქველებით შეიარაღებული ავტომობილებით გაიქროლეს ნევის პროსპეკტზე. თოფხანაც აიღეს. იარაღები გაიტაცეს.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ხალხში ყუმბარასავით იფეთქა.

— როდის? სად? ნუთუ ასე მალე მოხდა ეს? ეკითხებოდენ ყოველი კუთხიდან.

— მთელი პოლკები აღაშფოთა მშვიდობიანი მცხოვრებლების დახვრეტამ. პირველათ ვოლინელმა ჯარისკაცებმა ააფრიალეს წითელი დროშა და ხალხს ამოუდგენ გვერდში.

მე ეს ჩემი თვალით ვნახე. დიდებული სანახაობა იყო. ვიღაც პოლიტიკური, ციხიდან ახლად გამოშვებული, ბავშვივით სტიროდა და კისერზე ეხვეოდა ჯარისკაცებს.

ეს არის ცეცხლი წაუკიდეს საოლქო სასამართლოს შენობას და საპოლიციო უბნებს. კიროჩნის ქუჩაზე ხალხმა ალყა შემოარტყა საფარში ჩამალულ ჯანდრებს ვოლინელებს შეუერთდენ ლიტოვის პოლკი, პრეობრაჟენცები, საპიორები და ავტომობილისტთა როტა. წადით და თქვენი თვალით იხილეთ ყველაფერი.

ამ სიტყვებით ნაცნობი გაგვშორდა. ლიტენის ქუჩიდან ტყვიები ზუზუნით ქროდენ. ავტომობილები ელვის სისწრაფით დაქროდენ და კრეფდენ დაჭრილ დახოცილებს. ხხვა და სხვა მხრიდან მოისმოდა ვინტოვკების ჩხარა-ჩხური და ტყვიის მრქვეველთა შეუწყვეტელი სროლა.

ნევის პროსპექტი მალე დაცალიერდა. ხალხში ისმის ხმები: ასაფეთქებელ ტყვიებს ისვრიან, ნაგ მხეცები! ჩემს თვალ წინ ცელქი ტყვია მოხვდა პატარა გოგონას და იქვე სული გააცხებია. ჯარის კაცი ტყვიის მრქვეველმა შუაზე გასწყვიტა.

— იქით ნუღარ წახვალთ, ბატონო, საშიშია. ისმის გამაფრთხილებელი ხმები.

საავთომყოფოები დაჭრილებით აივსო. ისმოდა განაწამებულთა გმინვა, ოხვრა და კვნესა.

ხალხის თავისუფლება მსხვერპლს ითხოვს. ეს მსხვერპლი უკვე შესწირა თავისუფლების მოყვარულმა ხალხმა.

საღამოთი მდგომარეობა გამოირკვა ცოტათი. სროლა ცოტა მიყუჩდა. ხალხიც ცოტათი მიყუჩთა ხალხმა იმალა ქუჩებზე. გამოჩდენ მუშები თ და ჯარის კაცებით ავსილი საბარგო ავტომობილები. ყველა შეარაღებული იყო და აქეთ იქით მიისწრაფოდა წმინდა და დიადი საქმის შესასრულებლათ.

ხმა გავარდა: პეტრეპავლეს ციხე რევოლიუციონერებმა აიღეს, თავადი გოლიცინი გადადგა პროტოპოპოვი დიქტატორობას ელის.

მთელ ღამეს ისმოდა თოფების სროლა.

დილა გათენდა მზიანი, მხიარული. ხალხი ზღვასავით მოაწყდა ქუჩებს. ყველა სადღაც მიეშურებოდა, ყველა რაღაცას ეძებდა. სახლების სახურავებიდან ისევ გაისმოდა თოფების სროლა. წითელი ლენტებით მოკაზმული ავტომობილების რიცხვი თან და თან მატულობს. მოსჩანან წილელი დროშით მოკაზმული ჯავშნიანი ავტომობილებიც.

ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ყოველივე პეტროგრადში ხდებოდა, რომ ეს რუსეთის ამბები იყო!

ერთი დიდი გაზეთის რედაქციას, სადაც თავი მოეყარათ თანამშრომლებს, 12 საათზე ყოფილ გზათა მინისტრის ავტომობილი მოადგა. მასში ჯარისკაცები და მეზღვაურები იხსდნენ. ხალხი ჩვენ ავტომობილსაც „ურას“ ძახილით აციოლებდა. ავტომობილიდან თვალს ვადევნებდი მომხდარ ცვლილებებს. ზნამენის მოედანზე ალში გარეული იყო ნიკოლაევის სადგური, ძველი ნევის ქუჩაზე იფერფლებოდა—პოლიციის სამართველო. სუვოროვის ქუჩაზე სახლების სახურავებიდან კიდევ გაისმოდა სროლა. თავრიდის ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი.

სახ. დუმის წინ იდგა ჯავსნოსანი ავტომობილები, დასეირნობდენ კავალერისტები და ბუზებივით ირეოდენ ჯარისკაცები.

შევედით თავრიდის სასახლეში. ყველგან ჯარის კაცები გვხდებოდნენ წინ: ზოგი იდგა, ზოგი ისხდა და ზოგიც ღამის უძინარი იწვა და ეძინა. დუმის სხდომის დარბაზში აუარებელი ხალხი იდგა.

(„Кіевск. Мысль“.)

(დასასრული იქნება)

საღღეისო

(რკინის გზის მთავარ სახელოსნოსთვის)

— გიორგიჯან. დავიღუპეთ,
ღღე გვადგება ერთობ ცხელი,
კვლავ ერთობამ გაიმარჯვა,
მთავრობაძე მოკვდა ძველი.
— ჩემო პოღოს, მაგის დარდით
ბნედა მომდის, ვიტანჯები
ღღე და ღამე კაპლში ვცურავ,
აშკარაა ვერ მოვრჩები.
— დახე ამ ჩვენ სახელოსნოს,
მხრები ხელათ აიწია!
დროებითი კომისია
როგორ სწრაფათ აირჩია!
— მე მკლავს ჩემი ღვინის დარდი
გაყიდვა ვერ მოვასწარი
შინ სასმელად თუ გამიხდა
გადამატანს ამის ჯავრი.
— მე კი ვსტირი ჩვენ მამედას
დალიარელ ვაჭარ თათარს
რომ ამ კომისიის შიშით
ვერ მიუტან იმის შაქარს.

ძამია.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ „ეშმაკის მათრახის 10 ნუმერში მოთავსებული გამოტანა დიდი-ჯიხაიშისათვის მე არ შეეკუთვნის და მით გამთავისუფლოთ იმ უსაბუთო ხმებისაგან რომელიც ჩემზე არის გავრცელებული.

პატივისცემით დათიკო ნემსაძე*)

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული ჟურნალის მე 5-თე ნომერში მოთავსებულია წერილი „გამოქნეულის“ ფსევდონიმით. ის სწერს ერწოს ამბებს, ვითომც მე ხალხს ვაუხებდე და ტიტველა ალაგზე ტაქტიას ვახდეინებდე: ითომც მე ვიყავ წინათ ერწოში დეპოს სავაჭრო დუქნის ზედამხედველი და ბოლოს ამხანაგებს ვითომც თავიდანაც ვაზარალე; კარგა ამისა ის სწერს რომ მე ვიყავ მამასახლისათ და ქრთამებს ვიღებდი. ეოველივე ეს ჩემზე შეთხზული ცნობა სრული სიცალიერ და ტილის წამებაა. ჩემი და ბ-ნი კორესპოდენტის უსიამოვნების სათავე ასეთია: მე ვიყავ მამასახლისათ. ჩვენ ხალხზე მოვიდა ბეგარა გზებზე ქვაშა დაგვეყარა. ბ-ნ გამოქნეულს, ჩვენს საზოგადოებაში ერთ ბუოუოთაგანს, როგორც წინეთ ქრთამით უნდოდა თავის გადარჩენა. და თავის მოძმე მეზობლებთან არა მუშაობდა.

მე გამოვეეანე ბეგარაზე ამის გამო გამიბოროტდა ბ-ნი კორესპოდენტი და შეთხზა ჩემზე ეალბი წერილი.

ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცებელათ ვიწვევ ბ. გამოქნეულს სამედიატორო სასამართლოში. ჩემი მხრით მედიატორებათ ვასახელებ მ.—ძეს და ბ.—ვილსა. ამ წერილის გამოქვეყნებიდან ვაძლევ ერთი კვირის ვადას. რათა გამოქნეულმაც დასახელოს თავისი მედიატორები.

ალექსი აფციაური.

ფოსტა.

ასკანაში. (კოკორინას) თქვენ იწერებით: „ერთ ხელ მათრახში ჩასწერი მასალა შემომაკლდა და მაგიდაზე დაურდობილი ვისხედიო“.

როცა მაგიდაზე დაურდნობილი **ისხედით** მასალა კი არა გაკლებიათ, არამედ ქართული ენის ტოდნა. საჭირო წერილს სახელი და გვარი ეწეროს. არ დაიბეჭდება, ვინაიდან წერილი ძველი მთავრობის დროსა და მისი კავალენის ქვეშ დაწერილია.

დაჩაგრულს. ჩვენ დღესაც ეველა დაჩაგრულებს უურადღებით ვეპერობით, აგრეთვე თქვენც.

„ათი წელი ვიმსახურე
სტრაჯნიკათ და ბოქაულად,
ამას მარიალს მოგახსენებთ,
თავს არ ვიქებ მხოლოდ ტყულად.“

იწერებით ბ-ნო დაჩაგრულო და რედაქცია ერთობ განცვიფრებულია, თუ რაგორ გამოერია ბოქოულებში ასეთი მორცხვი ერთგული. ათი წელიწადი სტრაჟნიკ-ბოქოულად გამსახურიათ და ამით არც კი ამაყობთ. ბარაქალა, ბარაქალა თქვენს ვაჟკაცობას.

---

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია საჯაროთ აცხადებს, რომ მას პირველათ ესმის პოეტი „დათიკო ნემსაძე“. ვსთხოვთ ყველა ეპვიანებს გაანთავისუფლონ ის ამ უსაფუძვლო ბრალდებისაგან.

„ერთობა“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი ღირს: როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლდას ქუჩა № 6.

კუბოში ჩასვენება



ბიუროკრატ მთავრობაძისა

მადლიერმა ხალხმა არ დაივიწყა დაუფასებელი ამაგი ღვთით განსვენებულის ბიუროკრატ მთავრობაძისა და ძვირფას კუბოში ჩაასვენა გვამი იმისი. რათა არავინ მოიპაროს ცხედარი საყვარელი არსებისა, კუბო მრავალი სალტეებითა და ჯავშნით შემოსა განუსაზღვრელი მისდამი პატივისცემით აღჭურვილმა მუშათა კლასმა. ამავე მიზნით უდგას ძვირფას კუბოს უძვირფასესი გვამისას ყოფილი „ნიჟნი ჩინი“ და აწ სალდათი თავისუფალი რუსეთისა.

ჩვენს რედაქციას აუარებელი წერილები მოსდის*) საქართველოს დაბა-სოფლებიდან რომელშიაც თავისუფალი ხალხი აღარ ზოგავს იმ მცირეოდენ ცრემლსაც, რომელიც დაუღვრელი გადარჩათ აწ განსვენებული ბიუროკრატ მთავრობაძის სიცოცხლეში.

*) ისე ფმერთი ასშენებს ჩვენს კორესპონდენტებს.

ეშმაკი

რედაქტორი თ. ბოლქვაძე. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.